საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 17 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 45 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 45

## ორი ინტერნაციონალი

საზოგადოებრივ ძალთა შეჯახება, სისტემატიურად წარმოებული კლასთა ბრძოლა იმდენად გამწვავებული და გაალმასებულია დღეს, რომ თვით აქსიომური დებულებაც სადავო და დასამტკიცებელი ხდება. ყველასათვის თვალნათლივ დასანახი, აშკარა და უტყუარი ფაქტი იწვევს სულ სხვადასხვანაირ შეფასებას, მსჯელობას და შეხედულებას. საარსებო ინტერესი, კლასობრივი ინსტინქტი აბრმავებს ერთს, თვალს უხელს მეორეს და ჰქმნის იმ გაუგებრობას, რომელსაც მხოლოდ შემდეგი ხანის განვითარება ფონტავს და შეძლებას აძლევს სრულიად ახალ თაობას ობიექტიურად დააფასოს—რომელი იყო მართალი ორ მებრძოლ ძალთა შორის განვლილ ეპოქაში.

ის დიადი ბრძოლა, რომელსაც დღეს განიცდის მთელი კაცობრიობა, შესდგება მრავალ ერთმანეთთან დაკავშირებულ ეპიზოდებისაგან და ერთი ასეთი ეპიზოდია ბრძოლა მეორე და მესამე ინტერნაციონალს შორის. ჩვენთვის დღეს სრულიად უდავოა, რომ მეორე ინტერნაციონალი მოკვდა და მისი ადგილი დაიჭირა მესამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. მაგრამ რაოდენ ენერგიას და ძალას ხარჯავენ ჩვენი მოპირდაპირენი, რომ დაამტკიცონ სრულიად წინააღმდეგი, სახელდობრ, რომ არ არსებობს არავითარი მესამე ინტერნაციონალი და მეორე ინტერნაციონალი კი სრულიადაც არ მომკვდარა, არამედ მას „მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“.

თვით ფაქტი მეორე ინტერნაციონალის საქართველოში სტუმრობისა ჩვენთვის მხოლოდ ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთია მისი საბოლოვო გაკოტრებისა; ამ დროს ამავე ფაქტის გამო ჩვენი მოწინააღმდეგენი გრძელ მასლაათს მართავენ მეორე ინტერნაციონალის ღირსებასა და მის ბრწყინვალე მომავალზე.

რასაკვირველია, ამ ბრძოლაში დიდი ადგილი აქვს ჩვენს მოწინააღმდეგეთაგან ფაქტების განგებ დამახინჯებას. არ არსებულის გამოგონებას, უმნიშვნელო რამის გიზვიადებას. მაგრამ საკითხავია, რა აიძულებს მათ სისტემატიურათ ასეთი სიყალბის ჩადენას, რასაც შეიძლება ხშირათ ურთდება გულწრფელი თავისმოტყუება და აშკარა შეცდომის ჭეშმარიტებათ წარმოდგენა?

მდგომარეობა ქმნის შეგნებას და ყალბი მდგომარეობა ქმნის მის მსგავს ყალბ შეგნებას. კლასობრივი ალღო და ინტერესი უდიდეს გავლენას ახდენს აზროვნების მსვლელობაზე და ამა თუ იმ შეხედულობის ჩამოყალიბებაზე. და ეს დებულება ძალაშია იმათთვისაც, ვინც შეიძლება ერთ დროს ჩვეული იყო მარქსისტულათ აზროვნებას.

მეორე ინტერნაციონალის მთელი შემადგენლობის (დაწყებული მისი თავმჯდომარიდან და გათავებული მისი მდივნით) ასეთი უჩვეულო დარბაზობა წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში და ამაზე რაღაც იმედების დამყარება მოასწავებს მხოლოთ იმას, რომ თავისი ძველი სამოქმედო ასპარეზიდან განდევნილი და ახლა უგზო-უკვალოთ მოხეტიალე მეორე ინტერნაციონალი ფაქტიურათ უკვე მკვდარია და ცდილობს მხოლოთ თავისი აღსასრული რაც შეიძლება მეტი ზეიმით გამოიგლოვოს. მართლაც და, ვინ მოაცლიდა ნამდვილი, ცოცხალი ინტერნაციონალის ბელადებს ასე უნაყოფოთ ეხარჯათ დრო მხოლოთ იმის დასადასტურებლათ, რომ ქართველი მენშევიკები ღვთისა და კაცის მოსაწონი სოციალისტებია. ან ვის მოუვიდოდა ფიქრათ, რომ პაწია საქართველო, თუნდაც მთლათ სოციალისტებით სავსე, მისცემს მთელ კაცობრიობას სოციალისტური აღმშენებლობის საუცხოვო მაგალითს და ნიმუშს! და თუ დღეს ასე ფიქრობენ და ამაში სხვებსაც აჯერებენ, ამის მიზეზი არ შეიძლება არ გამოვნახოთ თვით მათს კლასობრივ ინტერესებში.

მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი შეგნებულათ ებრძვის მეორე ინტერნაციონალს და მთელი ძალღონით ცდილობს მოსპოს ყოველივე შესაძლებლობა მისი ხელმეორედ აღდგენისა. თავის მხრივ ძველი სამოქმედო ასპარეზისდან მთლათ განდევნილი და მაშასადამე უკვე მკვდარი მეორე ინტერნაციონალი ცდილობს დაამხოს მისი მემკვიდრე და ძველებური გავლენა დაიბრუნოს. პროლეტარული მასების გათვითცნობიერება—აი მესამე ინტერნაციონალის ბასრი იარაღი; ბურჟუაზიის და მის მთავრობების ძალის გამოყენება—აი ერთად ერთი დასაყრდნობი წერტილი მეორე ინტერნაციონალისა. აქ ორი სხვა და სხვა კლასის ინტერესი ებრძვის ერთმანეთს და ამიტომაა ბრძოლა მათ შორის აგრე გამწვავებული და დაუნდობელი.

ერთად ერთი აზრი და მნიშვნელობა მეორე ინტერნაციონალის სტუმრობისა, როგორც მისი ბელადებისათვის, ისე მათ მასპინძელ საქართველოს მესვეურთათვის მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე ზურგში მახვილი ჩასცენ მებრძოლ მესამე ინტერნაციონალს. ამიტომაა, რომ ეს სტუმრობა ასე უხარიათ ყველა ჯურის შოვინისტებს, წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს და თვით ევროპის იმპერიალისტებს.

ნუ ვიტყვით, რომ ეს საფრთხე მეორე ინტერნაციონალის მუხანათობისა არ არსებობდეს. მკვდარი ხშირათ ებღაუჭება ცოცხალს და მკვდარი საგნით შეიძლება ცოცხალი არსების დამახინჯება. ეს საფრთხე მით უფრო ძლიერდება, რომ ამ მკვდარს მფარველობს დღეს მთელი ევროპის ბურჟუაზია.

მეორე ინტერნაციონალი მოკვდა, მაგრამ მისი გახრწნილი სული კვლავ დასტრიალებს ცოცხლებს და ცდილობს იაფათ არ დაუსვას მათ თავისი ბუნებრივი და სამართლიანი სიკვდილი. ამ ხრწნილებასთან ბრძოლა კიდევ კარგახანს გასტანს, სანამ საბოლოვოთ არ განქარდება მის მიერ მოწამლული ატმოსფერა.

ჩვენი ვალია მთელი ძალღონით ხელი შეუწყოთ ამ ატმოსფერის გაჯანსაღებას.

## მოვიდნენ...

მეორე ინტერნაციონალის დელეგატები ჩამოვიდნენ თბილისში და მათ შორის არ იმყოფება კარლ კაუცკი. საკმარისია ეს ერთი დანაკლისი, რომ მთელი დელეგაცია თვით გულუბრყვილოთა თვალშიაც წარმოსდგეს მთელი თავისი სიშიშვლით, მთელი თავისი გონებრივ-ზნეობრივი უბადრუკობით. მხოლოთ კაუცკი და ისიც მარტო მისი წარსული შარავანდედი მიმზიდველობის ელფერს აძლევდა დელეგაციას და უადვილებდა მენშევიკებს ყველა დელეგატები უდიდეს პიროვნებებათ წარმოედგინათ. ახლა კი მათ ხელთ შერჩათ დუჟინზე მეტი ევროპიელი მოქალაქეები, ცნობილნი მხოლოდ თავისი რევიზიონიზმით და ოპორტუნიზმით, ცნობილნი მით, რომ არც ერთ მათგანს არასოდეს არ სწამდა რევოლიუცია არ სწამდა მუშათა მოძრაობა და არასოდეს არ გაუნაყოფიერებია იგი რაიმე ცოცხალი აზრით.

დელეგაცია მაინც ზარით და ზეიმით შემოვიდა თბილისში. წინ მიუძღოდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, უკან მისდევდა საგანგებო რაზმის უფროსი მ. კედია. როგორც ხედავთ, პროცესიას არ აკლდა შემადგენელ რგოლების თავისებური მიმზიდველობა. წინ წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტი, უკან ნაპრისტავალი ჟანდარმი, ხოლო შუაში ევროპის ოპორტუნიზმის საუცხოვო თაიგულები!

რა მოაქვს დელეგაციას? კითხულობს ობივატელი და თვითვე აძლევს პასუხს იმის მიხედვით, თუ რა უფრო აწუხებს მას. პურს გააიაფებენ, საჩივრებს მიიღებენ, მექრთამეებს გადააყენებენ.

ილიუზიების ქვეყანაში ჩვენი მენშევიკები შეეცდებიან მარჯვეთ ისარგებლონ დელეგაციის აქ ყოფნით და გააძლიერონ დემოკრატიული რესპუბლიკის ილიუზიები.

ჩვენ კი ვიტყვით: კეთილი იყოს თქვენი ადრე ან მალე წაბრძანება ბატონო დელეგატებო! თქვენი მოსვლით არც პური გაიაფდება და არც რაიმე ბოროტება აღმოიფხვრება. მუშათა კლასის მდგომარეობა თუ გაუარესდება თვარა არ გაუმჯობესდება. რაც უნდა აღფრთოვანებულათ მოგაჩვენონ თავი თქვენმა მასპინძლებმა, მაინც გახსოვდეთ ანდაზა: „დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი“

ა. ტ.

## უვიცობა თუ განზრახ ტყუილი?

(დასასრული. იხ. № 44).

მენშევიკური კვირეული გაზეთის რედაქცია ალბათ ისევ ბოლშევიკების ომის წყურვილით და მათი არსებობის გაგრძელობის სურვილით ხსნის ბოლშევიკების მიერ ვარშავის აღების გადაწყვეტილებას, მიუხედავათ პოლონელების დამარცხებისა.

ბოლშევიკებს ეს არ მოსდიოდათ თავის შეურიგებელი პოლიტიკით პოლონეთის მიმართ. აი რასა სწერდენ მენშევიკური გაზეთის აქაური თანამოაზრეები: „სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ—ამბობდენ ისანი—რომ პოლონეთის მიმართ საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი დათმობა, როგორც პოლიტიკური, ისე ტერიტორიალური მხრითო“. ხოლო პოლონელებზე გადამწყვეტი გამარჯვებისთვის ბრძოლაში ბოლშევიკებს მხარს უჭერთვით რუსეთის მენშევიკური პარტიას რომელმაც მარტოვის პირით განაცხადა, რომ „იგი ყოველ ზომებს მიიღებს, რომ მშრომელთა მასსამ თავის საკუთარ საქმეთ მიიჩნიოს რაც შეიძლება სწრაფი, რაც შეიძლება ბრწყინვალე გამარჯვება დასავლეთ ფრონტზეო“.

ყველა ამის შემდეგ მე ვეკითხები მენშევიკების კვირეული გაზეთის რედაქციას, მიაჩნია თუ არა მას სარწმუნოთ ჩემ მიერ მოყვანილი მათივე, როგორც აქაური, ისე რუსეთელ თანამოაზრეების შეხედულობა ბოლშევიკების ზავის სურვილზე და პოლონეთზე გამარჯვების საჭიროებაზე და ეთანხმება თუ არა გაზეთი მათ?

ამნაირათ ახალმა მენშევიკურმა გაზეთმა დაამახინჯა რუსეთ-ევროპის ბრძოლის ნამდვილი ხასიათი, მან ცილი დასწამა ბოლშევიკებს, დღევანდელ კონკრეტიულ ბრძოლის პირობებში მათ შეურიგებლობაზე და მუდამ ომის წყურვილზე.

რაა მიზანი ფაქტების ასეთი დამახინჯების?

მკითხველმა იცის, რომ ჩვენ ქვეყანას არ აქვს საკმაო საკვები: პური და სიმინდი შემოსატანია. არ გააჩნია მას საკუთარი მრეწველობა: ტანისამოსიც უცხოეთიდანაა მისაღები. ორივე შემთხვევაში რუსეთს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია, მარაო — დაახლოებით ასე „უხსნის“ ქვევით თავის მსმენელს სოფლის ჭკუის დამრიგებელი—რუსეთი ჩაიგდო ხელში რევოლიუციის „ბოროტმა სულმა“, მოუსვენარმა ხალხმა, ბოლშევიკებმა, რომლებმაც დაანგრიეს ტრანსპორტი, მოშალეს სოფლის მეურნეობა, მოსპეს მრეწველობაო. კითხვის ასეთი „გაშუქებით“ მსმენელს სახე უბრწყინდება რადგან „გაიგო, რომ თურმე ბოლშევიკებს შეუქმნიათ ჯოჯოხეთი როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. ამის შემდეგ რა საკვირველია მსმენელს გულზე მოეფონება, როდესაც ანუგეშებს, რომ ყველა ამ უბედურობისაგან თავის დასაღწევათ ევროპის იმპერიალისტები ცდილობენ რუსეთის „დაწყნარებას“ და ამიტომ ეხმარებიან დენიკინს და პოლონელებს ბოლშევიკების წინააღმდეგო.

თუ სოფლელი მოსტყუვდა და დაიჯერა ყოველივე ეს—„სოფლის მუშის“ „გამათვითცნობიერებლის“ მიზანიც მიღწეულია, რადგან ასეთი „გაშუქებით“ ბოლშევიკების პრესტიჟი „დაცემული“ და ეს არის ხომ უმთავრესი. ამის ჩამდენ ვაჟბატონებს ვუწოდე მე პოლიტიკური არამზადები და ხალხის განზრახ მატყუარები.

ეს, რასაკვირველია, არ ესიამოვნა მათ, ვისაც ეს სიტყვები თავის თავზე უნდა მიეღო და მენშევიკურმა რედაქციამაც დასძრა თავისი პატიოსანი ენა ჩვენ სოციალისტურ ზრდილობაზე და რევოლიუციონურ კეთილშობილებაზე.

მაღალ-მაღალ ზნეობრივ კატეგორიებზე ლექციების კითხვის ნებას არ მივსცემთ ჩვენ იმ ხალხს, რომელთა არსენალი სავსეა ჩვენ მიმართ ასეთი ეპიტეტებით, მაგალითად: „ორპირები“, „მუხანათები“, „მოყიდული აგენტები“, „უტიფრები“, „ბნელი მოღვაწეები“. „ოიმბაზები“, „გაიძვერები, მზაკვრები და სხვა. ჩემი აზრით მენშევიკეასათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა, რომ „სოციალისტურ ზრდილობაზე“ და „რევოლიუციონურ კეთილშობილობაზე“ სიტყვის ჩამოგდების დროს აქა-იქ მიმალულიყვნენ და ენაზე მაგრათ კბილები დღეჭირებიათ.

წერილის გაგრძელების გამო მე იძულებული ვხდები სხვა შემთხვევისთვის გადავსდო „მენშევიკების „სოციალისტურ“ და „რევოლიუციონურ“ აზრებზე საუბარი...

ქ. კრედო.

## ადგილობრივი პრესა.

მეორე ინტერნაციონალი კარზე მოადგათ ჩვენს მენშევიკებს. და თუ აქამდე მიკიბ-მოკიბვით ლაპარაკობდენ ამ პოლიტიკურ კოტორის შესახებ, დღეს მენშევიკები გადაჭრით აცხადებენ თავისთავს მეორე ინტერნაციონალის წევრათ. „ერთობის“ არა ერთხელ გაბახებული „პუბლიცისტი“ დევდარიანი მისი მაგარი შუბლის შესაფერი უტიფრობით გაზეთს აჭრელებს ერთი მეორეზე უარესი შეუსაბამობით; ის სწერს:

„დღეს თბილისში შემოვლენ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი. საქართველოს სოციალ-დემოკრატია ეგებება ძვირფას სტუმრებს იმ გრძნობით, რომელიც უნდა აერთიანებდეს საერთაშორისო პროლეტარიატის რაზმებს აზროვნული სხვადასხვაობის მიუხედავათ. ჩვენი კლასობრივი მტრები დიდი ხანია წესს უგებენ მეცნიერული სოციალიზმის დროშას, ეძებენ „ახალ“ გზებს, ეძახიან მუშათა კლასს ან რეაქციონურ ბურჟუაზიის ბანაკთან, ან ანარქო-სინდიკალისტურ საქმიანობისკენ“.

მეცნიერული სოციალიზმის დროშას ახსენებს ბ. დევდარიანი და მით თავს აწონებს თავის ახალ სტუმრებს. მაგრამ საკითხავია, რომელი მათგანი იტკივებდა თავს ამ დროშისთვის როდისმე? იქნება თქვას—კარლ კაუცკიო, მაგრამ ის ხომ ჯერ არა გწვევიათ და მის ადრეს ზე გამზადებული საარშიყო ისრები სულ ტყუილა იქნება გაბნეული. შემდეგ, მენშევიკების „კლასობრივი მტრები“ თურმე ან რეაქციონური ბურჟუაზიისკენ ერეკებიან მუშათა კლასს, ან ანარქო-სინდიკალიზმისკენ. სადღაა მეორე ინტერნაციონალი? ის განზე რჩება. ნამდვილათ კი ერთ მხარეს დგას „რეაქციონური ბურჟუაზია და მას მხარს უმშვენებს მეორე ინტერნაციონალი, ხოლო მეორე მხარეს დგას თქვენგან ანარქო-სინდიკალიზმათ მონათლული, ნამდვილათ კი მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. ამ ორ ბანაკს შუა ატეხილია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და თქვენი სტუმარ-მასპინძლობაც ამ ბრძოლის ერთი პატარა ეპიზოდია.

ბ. დევდარიანი გვარწმუნებს, რომ მეორე ინტერნაციონალს „არა აქვს რა საერთო არც ერთთან და არც მეორესთან“, ე. ი. არც „რეაქციონურ ბურჟუაზიასთან“ და არც მესამე ინტერნაციონალთან. რაც შეეხება მესამე ინტერნაციონალს, ჩვენც დავუმოწმებთ, რომ მასთან მართლა არაფერი არა აქვს საერთო მუშათა კლასის მოღალატე მეორე ინტერნაციონალს. მაგრამ რომ მას ბევრი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ამას ჩვენ დაგვიმოწმებს იგივე დევდარიანი ამავე წერილით ის სწერს:

„დიდი საბოლოვო მიზნის მისაღწევათ ჩვენ გვირჩევნია თანამშრომლობა იმ „ბურჟუაზიასთან“, რომელთანაც თანამშრომლობდენ ე. ვანდერველდე, ქ. გიუსმანსი, პ. რენოდელი, რ. მაკდონალდი, ტ. შოუ და კარლ კაუცკი.“

ჩვენ აქამდეც კარგათ ვიცოდით, რომ თქვენ ბურჟუაზია (უწინწკლებოთ, ბ. დევდარიანო!) ყველაფერს გირჩევნიათ და დღეს თქვენი მკითხველებიც გაიგებენ ამას. მაგრამ რასა გავს ასეთი შუბლ-გარეცხილი მტკიცება, რომ სწორეთ სოციალიზმის მისაღწევათ გვირჩევნია ეს თანამშრომლობა. პირდაპირ სთქვით, რომ სწორეთ სოციალიზმის ამოსაგდებათ გირჩევნიათ თქვენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა. რაღა დასაფარავია დღეს ეს მეტადრე თქვენთვის, რომელთაც „არც არაფრისა გეშინიათ და არც არაფრისა გრცხვენიათ“.

მეორე ალაგას ასეთივე უტიფრობით ის სწერს:

„ერთი ევროპიელი სოციალისტი, თუ გნებავთ, რევიზიონისტიც და ოპორტუნისტიც ჩვენ გვირჩევნია ყველა იმ „რევოლიუციონურ სოციალისტებს“, რომლებმაც წარყვნეს ის „წმინდათა წმინდა“, რაც კი მარქსიზმის და მისი დროშის ქვეშ მდგომ პროლეტარიატის საუნჯეში იმყოფებოდა“.

უშვერი გინებითაც ვერა ფარავს ბ-ნი დევდარიანი იმ მართალ აზრს, რომელიც აქ თავისი პირით გამოსთქვა სახელდობრ: რევოლიუციონურ სოციალისტებს (უწინწკლბოთ ბ-ნო დევ-დარიანო!) მას ურჩევნია მუშათა კლასის მოსისხლე მტრები—მარქსიზმის შემრყვნელი ოპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წლის წინათ ბაქოს ქუჩებზე ზეიმობდენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები. დღეს კი, გამარჯვებული წითელი ბაქოს პროლეტარიატი, აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთან ერთად, ხმალს ილესავს და ყველა ჯურის მჩაგვრელების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადებიან. დეე, ძრწოდენ მჩაგვრელი კლასები, ამ ბრძოლის მოლოდინში. გამარჯვება მშრომელებს ხვდება წილათ. გაუმარჯოს ამ ბრძოლის დღეს, გაუმარჯოს ამ ბრძოლაში მონაწილე დაჩაგრულ ხალხს.

რტიუნისტები და რევიზიონისტები.

ეს კარგათ ვიცოდით ჩვენ აქამდისაც, მაგრამ დეე, დღეს „ერთობის" მკითხველებმაც დაიდასტურონ ეს ჭეშმარიტება. კითხვა იბადება, რატომ აქამდე არ ალიარა „ერთობამ" ასე აშკარათ და მიუკიბ-მოუკიბავათ თავისი სიყვარული ოპორტუნიზმისადმი? იმიტომ, რომ აქამდე ეს მაგრე რიგათ არ უჭირდა მას. დღეს კი, როდესაც აქ სტუმრათ არიან რევიზიონიზმის და ოპორტუნიზმის წარმომადგენელნი, რომლებიდანაც მენშევიკები გამოელიან შველას მსოფლიო იმპერიალისტების გულის მოგებაში, აუცილებელი ხდება ნამდვილი გულის-ნადების გამომზეურება. თუ კაუცკის თავს აწონებენ მის მიერ უკვე უარყოფილ მარქსიზმის დროშით, დელეგაციის სხვა წევრებს ოპორტუნიზმის ერთგულებას ეფიცებიან. ზნეობრივ გონებრივი დაცემა და გათახსირება ამაზე შორს ველარ წავა.

ასეთი ხალხიდან რა გასაკვირალია, თუ წარბ შეუხრელათ გამოსთქვან ასეთი ყოვლად უმსგავსო დებულება:

„ვერავინ ვერ იტყვის, რომ დასავლეთიდან მოსული სტუმრები ხელს უწყობდენ მსოფლიო ომს, რომ ისინი ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებდენ სხვადასხვა ქვეყნების მუშათა კლასს".

ყველაზე მსხვილი ფიგურა „დასავლეთიდან მოსულ სტუმრებში" ვანდერველდეა. მერე რას აკეთებდა ომის დროს ეს თქვენი საყვარელი სტუმარი იმის მეტს, რომ მთელი ძალღონით მხარს უჭერდა ამ ომს და ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებდა სხვადასხვა ქვეყნების მუშათა კლასს! ეს იმდენათ ცნობილი ამბავია, რომ იქნება თითონ ვანდერველდემაც არ დაგვიმადლოთ ამის დამოწმება. კითხეთ მაინც.

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

ახალი ქვეყანა ილვიძებს, ის იწყებს ცხოვრებას, იწყებს ბრძოლას. ეს არის დაჩაგრულ ეროვნებების ქვეყანა. ამ ქვეყანას ვაერთიანებთ ჩვენ ერთ სახელწოდებაში—აღმოსავლეთი. ასეთი სახელწოდება სულ არ არის მართალი. ამ დაჩაგრულ ეროვნებებს ეკუთვნიან არა მარტო აზიის ხალხები, არამედ აფრიკის, ამერიკის (როგორც მაგალითად მექსიკელები, აგრეთვე შეერთებულ შტატებში მცხოვრები ზანგები). და სხვების.

ამდენხანს თეთრი რასის ხალხი სრულიათ უსაბუთოთ თავის თავს სთვლიდა კაცობრიობის ერთად ერთ წარმომადგენლათ. დაჩაგრული ხალხები (ფერადი კანიანები) რიცხვით, თუ მეტი არა ორჯერ აღემატებიან თეთრი რასის ხალხებს. რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ აღმოსავლეთის კულტურა უფრო ძველია, ვიდრე ჩვენი, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ, რასაც ჩვენ ვუწოდებთ აღმოსავლეთის უმოძრაობას, არის მხოლოდ და მხოლოდ იმის ნაყოფი, რომ ჩვენთვის გაუგებარია აღმოსავლეთის ყოფა-ცხოვრება და მისი ურთიერთობა.

აღმოსავლეთი ცხოვრობდა ეხლაც ცხოვრობს. მართალია, მისი წინსვლა, განვითარება შეჩერებულია ევროპიელ დამპყრობელების მიერ და კაპიტალის კოლონიალური პოლიტიკით, რომელმაც შეგნებულად დაანგრია აღმოსავლეთის შემოქმედებითი ძალები და, ყოველ შემთხვევაში, ბორკილებში ჩასჭედა მისი ბუნებრივი განვითარება. მაგრამ ამავე ძალდატანებამ გამოაფხიზლა ეს ხალხები და დააყენა წინააღმდეგობის გაწევის და ბრძოლის გზაზე. ამავე ძალდატანებამ მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატს შეჰმატა ერთი ახალი უძლეველი მოკავშირე. არსებითათ მეორე ინტერნაციონალს არ შეეძლო არც რევოლიუციონური მოძრაობის გამოწვევა დაჩაგრულ ხალხებში, და არც უკვე არსებულ მოძრაობის გამოყენება. ის პარტიები, რომლებიც შედიოდენ მეორე ინტერნაციონალში, სიტყვით გმობდენ ბურჟუაზიის კოლონიალურ პოლიტიკას, საქმით კი მხარს უჭერდენ თავის ბურჟუაზიას და ამასთან ერთად, რასაკვირველია, ამ ბურჟუაზიის კოლონიალურ პოლიტიკასაც.

უფრო მეტი კიდევ: გერმანიის, ბელგიის და გოლანდიის სოციალისტებს შორის იყო ერთი მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერდა კაპიტალის კოლონიალურ პოლიტიკას, მაგრამ ის უნდა ყოფილიყო გაწმენდილი „უკიდურესობისაგან." და ამ ვაჟბატონებს ხელს არ უშლიდათ სინიდისი ექადაგნათ ეს იდეები ინტერნაციონალის ყრილობებზედაც. მე-2 ინტერნაციონალის პლატონიური პროტესტები, კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რჩებოდენ ხოლოდ ქაღალდზედ. საქმით სოციალ-დემოკრატია არავითარ ზომებს არ იღებდა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველათ. იმ პოლიტიკის, რომელიც უმოწყალოთ ყვლეფდა და აღრჩობდა ასეულ მილიონობით კოლონიალურ მცხოვრებლებს. სოც.-დემოკრატია არ ებრძოდა რევოლიუციონური მეთოდებით თავის ბურჟუაზიის პოლიტიკას, უფრო ნაკლებ ფიქრობდა იმაზე, რომ ამ დაჩაგრულ ხალხებში გამოეწვია რევოლიუციონური პროტესტები და სრულიათ აზრათაც არ მოსვლია მხარი დაეჭირა, დახმარებოდა იმ სპორადიულ რევოლიუციონურ მოძრაობებს, რომელსაც ადგილი ქონდა ამ დაჩაგრულ ხალხებში. რა არის გასაკვირველი იმაში, რომ ამ დაჩაგრულ ხალხებმა, ბოლოს და ბოლოს, ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიისადმი თავისი მტრობა და უნდობლობა გადიტანეს აგრეთვე ამ ქვეყნების მუშებზედაც? ბურჟუაზიას ეს მხოლოდ გაახარებდა და მეტი არაფერი. სულ სხვაგვარათ მოქმედებს კომუნისტური ინტერნაციონალი თუნდაც, მხოლოდ, საბჭოთა რუსეთის არსებობის ფაქტმა და მის მიერ ნაციონალურ საკითხში წარმოებულ პოლიტიკამ ფეხზე დააყენა,ააჯანყა და გამოიყვანა მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველათ. კომინტერნის მეორე ყრილობა გადამწყვეტ როლს ითამაშებს ამ განმანთავისუფლებელ მოძრაობის საქმეში, რომელიც (განმ. მოძრაობა) სწორეთ, რომ თავის დროზე დაიწყო, იმ დროს როდესაც ევროპის და ამერიკის მუშათა კლასი აწარმოებს რევოლიუციონურ ბრძოლას. კომუნისტური ინტერნაციონალი არამც თუ მარტო სოლიდარობას უცხადებს დაჩაგრულ ხალხებს მის რევოლიუციონურ აჯანყებებში კაპიტალისტურ ბატონობის წინააღმდეგ, არამედ ავალებს კიდეც ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს, ყველაზე უფრო კი დამჩაგვრელ ქვეყნებისას, აქტიური დახმარება გაუწიონ კოლონიების რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია ამ დამჩაგვრელ ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამ გვარათ, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა უკვე ხორცს ისხავს. ამდენხანს, მაგალითად, ინგლისის მუშას შეეძლო ეფიქრა, რომ ის ასრულებს თავის ინტერნაციონალურ ვალს, როდესაც საპროტესტო რეზოლიუცია გამოაქვს საბჭოთა რუსეთზე ანტანტის თავდასხმის გამო, ანდა იმით, რომ რამოდენიმე შილინგი (ფუნტის ზიმაა) შესწირა რომელიმე, ევროპის ქვეყნებში გაფიცულ მუშებს. ეხლა კი კომუნისტური ინტერნაციონალი ეუბნება მას, თუ რომ მას სურს განთავისუფლდეს კაპიტალის ულლისაგან, იმ შემთხვევაში მისი პირდაპირი მოვალეობაა, როგორც პროლეტარის, რომ მან აქტიურათ დაეხმაროს, როგორც ყველა სხვა ქვეყნების პროლეტარებს, ისე დაჩაგრულ ხალხებს, უმთავრესათ იმ ხალხებს, რომლებსაც ჩაგრავს მისი (პროლეტარის) ქვეყნის ბურჟუაზია. ეს ეხება უმთავრესათ: საფრანგეთის, ბელგიის, ამერიკის, ჰოლანდიის და საერთოდ ყველა იმ ქვეყნების მუშებს, რომლებსაც აქვთ კოლონიები და სჩაგრავენ სხვა ხალხებს ე. ი. ეს შეეხება ყველა მსხვილი კაპიტალისტური, ან და როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ, „დიდი" სახელმწიფოების მუშებს. როდესაც კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებების ამბები მიაღწევს ასეულ მილიონ ინდუსებამდის, ჩინელებამდის, ზანგების, მალაიელების და სხვა დაჩაგრულ ხალხებამდის, ეს ხმა მხნელ ხმასავით დაიგრგვინებს მათთვის და მოუწოდებს მათ მყვლეფელ კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველათ ამ კოლონიების და ნახევრად კოლონიების გლეხების და მუშების მასსები, შეკავშირებულ მსოფლიო პროლეტარიატის აქტიურ დახმარების იმედით, გაიორკეცებენ და გაათკეცებენ თავის ენერგიას, ბურჟუაზიულ მყვლეფელობის (როცა მომაკვდინებელ უღლათ აწევთ მათ კისერზე) წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლისათვის. დაჩაგრულ ხალხებში რევოლიუციონურ ბრძოლის სურვილის გაღვიძებით, ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის ბრძოლა ბევრ რაიმეს მოიგებს. ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია ის კითხვა, თუ სად გაუმართავთ გადამჭრელ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას მსოფლიო ბურჟუაზიას მეტროპოლიაში, თუ კოლონიებში. ყოველ შემთხვევაში, ერთი კი ცხადია, რომ მთელ დედამიწის ზურგზე დაწყებული კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, ამ ბრძოლის რკალში შეყვანა აღმოსავლეთის მრავალ მილიონიან მასსების, რომლებიც ამდენ ხანს მკვდარ ტვირთად იდვა ისტორიის გზაზე—ერთი სიტყვით, ამ ბრძოლისთვის ისეთი ხასიათის მიცემა, რომელიც მხოლოდ პირველათ ხდება ასე, მსოფლიო მასშტაბით,—დააჩქარებს უკვე მომწიფებულ კრიზისს კაპიტალიზმის დასანგრევათ და მოაახლოვებს ბურჟუაზიულ ბატონობის დაღუპვის დღეს. ჩაგვრის წინააღმდეგ მსოფლიო ბრძოლის ისტორიასთან დაჩაგრულ ხალხების, კოლოსალურ მასსების შეერთებით იწყება ბრძოლის ახალი ხანა. და კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ უკვდავ დამსახურებათ მუდამ ის ჩაითვლება, რომ მან (კომუნისტურ ინტერნაციონალმა) პირველმა აღმართა აშკარათ ამ ბრძოლის დროშა და მის გარშემო მოუხმო ყველა დაჩაგრულ ხალხებს და მთელს საერთაშორისო, შეკავშირებულ პროლეტარიატს.

ი. სტეკლოვი

გზ. „იზვესტია" № 186

# აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

**კონგრესის პირველი სხდომა.**

**ამხ. ზინოვიევის სიტყვის დასასრული (იხ. № 44).**

### ჩვენ არა ვართ დიპლომატები.

ამ დღეებში მე შევეკითხე ერთ თათრის გამოჩენილ ლიბერალურ მოღვაწეს, თუ როგორ ესმის თათრის გლეხს სიტყვა „ბოლშევიზმი". ამ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწემ მითხრა: ბოლშევიკათ იმ ერთი კაცი ჰყავთ წარმოდგენილი, რომელსაც სურს ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლა და უნდა ჩვენც დაგვეხმაროს ამ ბრძოლაში. მე მას მეორე კითხვა დაუსვი: როგორ ესმის ოსმალეთში უბრალო გლეხს ის, რომ ბოლშევიკი იბრძვის არამარტო ინგლისის წინააღმდეგ, არამედ ის ებრძვის საერთოთ მდიდრებს, როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთისას? ამ კითხვაზე მან გარკვეული პასუხი არ მომცა. უფრო კი ის ფიქრობს, რომ ოსმალეთის გლეხს ამ კითხვის შესახებ არაფერი გაეგება. მე კი, იმის მიხედვით, რაც ვიცი, ვფიქრობ, რომ მთელ ქვეყანაზე სიტყვა „ბოლშევიკს" არ უნდა გადათარგმნა არც თათრულ, არც სპარსულ და არც სხვა რომელიმე ენაზე (ტაში). მე დარწმუნებული ვარ, რომ მშრომელ მასსებს დასჭირდებათ ეს სიტყვა არა მარტო ინგლისის წინაათმდეგ საბრძოლველად, არამედ საერთოთ მდიდრების წინააღმდეგ საბრძოლველად. დიახ, ჩვენ მივდივართ ანტანტის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ინგლისის იმპერიალისტებს კისერში ხელებით უნდა ვეტაკოთ და მუხლი კი გულზე უნდა დავაბჯინოთ! ყველაზე უფრო მკაცრი იერიშები მივიტანოთ ინგლისის კაპიტალიზმზე. ყველაზე უწინ მას უნდა გაუგმიროთ გული, ეს მართალია. ამასთან ერთად ჩვენ უნდა აღვზარდოთ აღმოსავლეთის მშრომელი მასსები. მათ უნდა ჩავუნერგოთ გულში სიძულვილი და საერთოთ ბრძოლის სურვილი რუსის, ებრაელის, გერმანელის და საფრანგეთის მდიდრების წინააღმდეგ. აღმოსავლეთში დაწყებულ რევოლიუციის დიადი მნიშვნელობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ აქ მოვსპოთ ინგლისის იმპერიალისტების ბატონობა და მის მაგიერ გავაბატონოთ თათრის მდიდრები. არა, ჩვენი სურვილია, მოწიწებით მოვსთხოვოთ ყველა მდიდრებს, რომ მიიღონ მოწყალება და თავიანთი ბინძური ფეხები მოაცილონ ჩვენს მაგიდას, არა შარლატანობა, არა ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გათელვა, არა უსაქმურობა, არამედ ჩვენი სურვილია რომ მთელს ქვეყანას განაგებდეს მშრომელი ხალხი თავისი დაკოჟრილი ხელებით. (მქუხარე ტაშის კვრა) ამიტომ პირდაპირ და გარკვეულად ვეუბნებით ჩვენ იმ უპარტიოთ, რომლებიც აქ არიან. პანისლამიზმი, მუსავატიზმი, „ერთობა და პროგრესი," რომლისგან არც ერთობა და არც პროგრესი არ გამოდის—ყველა ეს მიმდინარეობები არ არის ჩვენი პოლიტიკური მიმდინარეობა. ჩვენ სულ სხვა პოლიტიკა გვაქვს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იმ ნაციონალურ დემოკრატიულ პოლიტიკას, რომელსაც დღეს ოსმალეთში ატარებენ და შეიძლება ხვალ სხვა ქვეყნებში გაატარონ, ჩვენ შეგვიძლია მხარი დაუჭიროთ. ჩვენ ვეხმარებით და შემდეგშიაც დავეხმარებით ასეთ ნაციონალურ მოძრაობას, როგორიც არის ოსმალეთში, სპარსეთში, ინდოეთში, ჩინეთში,—არა რაიმე საკუთარი გამორჩენის ანგარიშებით, არამედ იმიტომ, რომ ყველა შეგნებული მუშა ლაპარაკობს: თათრები, რომლებიც ეხლა ვერ არიან შეგნებულნი, ხვალ შეიგნებენ თავის ინტერესებს. ამ თათარს უნდა დავეხმაროთ ჩვენ, უნდა დაუცადოთ იმ დროს, როდესაც ოსმალეთში მოხდება ნამდვილი ხალხური რევოლიუცია, და ამ დროს უცბათ თათარს გამოეცლება თავიდან სულთანის სიყვარული და მათდამი რწმენა, როგორც მან დაჰკარგა სხვა ცრუ მორწმუნოებები. მე, როგორც უფროსი ძმა, ვალდებული ვარ დავაჩქარო აღმოსავლეთის რევოლიუციონური მოძრაობა —ამბობს შეგნებული მუშა. მე ვეხმარები თათრების ნაციონალურ დემოკრატიულ მოძრაობას,—ამბობს მუშა კომუნისტი, ამავე დროს ჩემი წმინდა მოვალეობათ მიმაჩნია—მოუწოდო დაბეჩავებულ თათრის გლეხებს, სპარსელ გლეხებს, რომლებიც დატანჯულნი არიან, აგრეთვე მოუწოდო აღმოსავლეთის მშრომელ, დაჩაგრულებს—ებრძოლონ ყველა მდიდრებს, ყველა მჩაგვრელებს. ჩემი მოვალეობაა—ამბობს მუშა კომუნისტი—შევაგნებინო მათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ჩვენთვის საჭიროა ყველა ხალხის ეკონომიურათ გათანასწორება, საჭიროა ნამდვილი, ძმური გაერთიანება ყველა შრომის შვილების. აი, ამხანაგებო, ჩვენი გულახდილი განცხადება. ჩვენ ვამბობთ, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე არავინ არ უნდა გამოვიდეს, როგორც დიპლომატი. აქ ჩვენ უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი საზიზღარი დიპლომატია, იმ დროს, როდესაც შეკრებილან ის ხალხნი, რომლებიც ყველაზე უმეტესათ იყვნენ დამონებულ-დაბეჩავებულნი, ის ხალხნი, რომლებიც ასეულ მილიონობით ითვლებიან და რომელთაგანაც არის დამოკიდებული მთელი კაცობრიობის მომავალი. ამხანაგებო, როდესაც მართლაც და დაიძრება აღმოსავლეთი. მაშინ მთელ ამ უზარმაზარ სურათში, არამც თუ რუსეთი, არამედ მთელი ევროპაც გამოჩნდება ერთ პატარა კუნძულათ. ნამდვილი რევოლიუცია მხოლოდ მაშინ აგიზგიზდება, როდესაც ჩვენ შემოგვიერთდებიან რვაას მილიონიანი ხალხი, რომლებიც ცხოვრებენ აზიაში, როდესაც ჩვენ შემოგვიერთდება აფრიკის მატერიკი, როდესაც ჩვენ აღფრთოვანებით დავინახავთ, რომ უკვე ამოძრავდა ასეული მილიონობით ხალხი. ამ ისტორიულ ყრილობაზე არავინ არ უნდა დაიწყოს დიპლომატობა. ორაზროვანობას და აზრის დაუმთავრებლობას აქ ადგილი არ უნდა ექნეს. დეე, ყველამ გაალონ თავიანთი გული, რომ აქ მყოფმა ყველამ ერთი მეორისაგან გაიგონონ ნამდვილი,—კრისტალისებური, თავისი გამჭვირვალობით სიტყვა, რომ ჩვენ ადვილად გამოვნახოთ გამარჯვებისაკენ მიმავალი ნამდვილი გზა.

ჩვენ არაფერს არ გიმალავთ თქვენ, ჩვენ ნათლათ, გარკვევით გეუბნებით, თუ რაში განსხვავდებით ჩვენ ეხლანდელი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისაგან და რაში ვეთანხმებით მათ. ჩვენ გეუბნებით თქვენ: ჩვენი სურვილია დავეხმაროთ აღმოსავლეთს ინგლისის იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან განთავისუფლებაში. მაგრამ ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო დიდი საკუთარი მიზანი—ეს არის აღმოსავლეთის მშრომელების დახმარება მდიდრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ეხლავე უნდა დავეხმაროთ მათ, მოაწყონ თავიანთი კომუნისტური ორგანიზაციები, აუხსნათ მათ თუ რა არის კომუნიზმი, ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისინი ნამდვილი მშრომელთა რევოლიუციისათვის, ნამდვილი თანასწორობისათვის, ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისინი იმისთვის, რომ ადამიანი განთავისუფლებული იქნეს ყოველგვარ ჩაგვრამონობისაგან.

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, რომ ის ვითარება, რომელზედაც მე თქვენ გულახდილათ გელაპარაკეთ, თუ როგორ უყურებთ ჩვენ ამ მწვავე კითხვებს და რომელშიდაც ჩვენ განსხვავდებით, არამც თუ არ დაგვაცილებს ჩვენ ერთიმეორეს, არამედ ისეთ ელემენტებთან დაგვაახლოვებს, რომლებიც სულ სხვაფერ ფიქრობენ ვიდრე ჩვენ. იმიტომ, რომ უფრო კარგია აშკარათ მოახდინო ესა თუ ის შეთანხმება, ვიდრე ქვა ზურგს უკან გქონდეს და ისე მიხვიდეთ ერთიმეორესთან.

### სამღვრთო ომი უნდა გამოუცხადოთ კაპიტალს.

მე ვამბობ: ჩვენი მოვალეობაა ეხლა გავაჩაღოთ ნამდვილი სამღვრთო ომის ცეცხლი ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამხანაგებო, მოიგონეთ თუ რა ხდება ქვეყანაზე ეხლა, ამ ყაჩაღების მიერ. მე არ ვილაპარაკებ იმ ხალხებზე, რომლებიც აქ განსაკუთრებით კარგათ არიან წარმოდგენილი. თქვენ თვითონ იცით, როგორი მდგომარეობა შექმნა ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალმა ოსმალეთში, ან ინგლისმა სპარსეთში, როგორ მდგომიარეობაშია სომხეთი, რომელიც გუშინ ყველა ანტანტის მთავრობებს უნდოდათ დაეცვათ, და რომელსაც ხვალ ყველა იმპერიალისტები გასცემენ.

მე ვიტყვი კიდევ რამოდენიმე სიტყვას მარტო იმ ქვეყნებზე, რომლებსაც აქ ცოტა წარმომადგენილი ჰყავთ: ინდოეთზე და ჩინეთზე.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რამდენი ასი მილიონი ხალხი ცხოვრობს ინდოეთში, რომელსაც ინგლისის კაპიტალი ასე შეუბრალებლათ ძარცვავს. თქვენ, ალბათ, გაიგონებდით უკანასკნელად მომხდარ ამბებზე. ჩვენ სულ აგერ ახლაც მოწმე ვიყავით ინდოეთში სუსტი წინააღმდეგობის ცდისთვის--ინდუსების დახვრეტის (ეგრედ წოდებული დავაჰიერის საქმე). უმწეო ხალხის გროვა მიიტყუეს ტყვიის მფრქვეველებთან და დახვრიტეს. და როდესაც ამ საქმის პარლამენტარული გამოძიება სწარმოებდა, ლონდონის გაზეთები იმდროს შემდეგნაირ სცენაზე მოგვითხრობდენ: შეიარაღებული ინგლისის ჯარისკაცები ინდუსებს ძალით იძულებულს ხდიან ქალ. ამრიცარის ქუჩებზე მუცლით იხოხონ. აი ინგლისის „განათლებულ" იმპერიალისტების და მათ შვილთა მეტოდი, რომელსაც ხშირად რამდენიმე უნივერსიტეტი გაუთავებიათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის იმპერიალისტები აგზავნიან ოფიცრებს, რომ მათ, დაუმიზნონ რა ყურთან ინდუსს რევოლვერი, დააწყებიონ მას მუცლით ხოხვა დ ამით დასტკბეს ინგლისის ოფიცრის თვალები!

ერთი პატარა სურათი ჩინეთიდან. ერთი იტალიის გაზეთის კორესპონდენტი იტყობინება ქ. გონკონგის გაზ. „სამხრეთ ჩინეთის დილ“-იდან ამოღებულ ცნობას: „ერთმა ჩინელმა ქალმა ავათმყოფობით მკვდარი თავისი სამი თვის ბავშვის გვამი დადვა ქალაქის ერთ-ერთ განმარტოებულ ქუჩაზე: იგი შეპყრობილ იქნა. მან განაცხადა, რომ ეს ჩაიდინა იმიტომ რომ მას არ ქონდა დასაფლავებისათვის საჭირო ფული. მიუხედავათ ამისა მსაჯულმა მაინც მიუსაჯა მას 15 დოლარი ჯარიმა, ან, იმ შემთხვევაში, თუ ამას ვერ გადაიხდიდა, ორი კვირით იძულებითი მუშაობა. და ვინაიდან საწყალ ქალს არ შეეძლო ჯარიმის გადახდა, მან უნდა ორი კვირას იმუშავოს, რის შემდეგ ინგლისის ცივილიზაცია დაკმაყოფილებული იქნება“.

ამხანაგებო, ეს პატარა ნაწყვეტი, რომელიც ამოვიღე უკანასკნელ დღეებში შემთხვევით ნახულ საზღვარ გარეთელ გაზეთების ერთი ნომერიდან, გვიხატავს ჩვენ გაუგონარ საშინელებების სურათებს, რომლებსაც განიცდიან ინდოეთის და ჩინეთის მშრომელი ხალხები. და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ინგლისის თეთრი მხეცები, კაპიტალისტები, რომლებიც ასე უსირცხვილოთ სტანჯავენ ინდოეთის მცხოვრებლებს, კიდეც ახერხებენ ათიათასობით შეიარაღონ ინდოელი ჯარის კაცები, რომლებსაც აგზავნიან პროლეტარიატის მოძრაობის ჩასახშობათ. ამ ხანათ ინდოელი ჯარის კაცები ინგლისელ გენერლების დირიჟორის ჯოხის ქვეშ იბრძვიან არც მეტი და არც ნაკლები—შვიდ ფრონტზე. ინდოელი ჯარის კაცები გამოდიან კონსტანტინოპოლის ომის თეატრზე, არაბეთში, მესოპოტამიაში, ეგვიპტეში, პალესტინაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ სპარსეთში და ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში. აი, ამხანაგებო, ჩვენი ტანჯული კლასის წყევა-კრულვა: ინდუსს კისერში მუხრუჯს უჭერენ, მუცლით აფორთ-ახოხებენ ინგლისის აფიცრის საამებლათ! და ამასთან ერთათ ეს ჩვენი ძმები, ინდოეთის ტანჯული გლეხობა იმდენათ ბნელით მოცულია, რომ იგივე ინგლისელი აიარაღებს მათ, უყენებს მათ ხელმძღვანელებათ თავადაზნაურულ აფიცრობას და აგზავნის მათ ეგვიპტეში თუ სპარსეთში ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ. აი, ამხანაგებო, სადაა ჩვენი მდგომიარეობის საშინელება! საკუთარი ხელით ვეხმარებით ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტების ჯალათებს, აი რას უნდა მოულოთ ჩვენ ბოლო!

დროა დავხუროთ წყეულ წარსულის წიგნი, რათა არას დროს მოუბრუნდეთ მას. უნდა გადავშალოთ ჩვენი ისტორიის ახალი გვერდი, როდესაც აღმოსავლეთის ტანჯული ხალხები კვლავ მონები არ იქნებიან, როდესაც ისინი არ მისცემენ ნებას ინგლისის ოფიცრებს უტიფრათ სძარცვონ და ძლიტონ, სათამაშოთ გახადონ, შეურაცხყონ ინდუსები, სპარსელები და სხვები.

ამხანაგებო! უკანასკნელ წლებში ბევრი ითქვა საღვთო ომზე. კაპიტალისტები, როდესაც ისინი წყეულ იმპერიალისტურ ომს აწარმოებდენ, ცდილობდენ ეს ძლეტა სამღრთო ომათ დაეხატათ და ბევრ ადამიანს კიდეც არწმუნებდენ ამაში. როდესაც 1914—1916 წლებში გაიძახოდენ „საღვთო ომზე“, ეს იყო საშინელი სიცრუე. და ახლა თქვენ, პირველად აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე შეკრებულნო, თქვენ აქ უნდა გამოაცხადოთ ნამდვილი „სამღრთო ომი“ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტების მეკობრეების წინააღმდეგ. ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ დაჰკრა ჟამმა, როდესაც მთელი ქვეყნის მუშები შესძლებენ შეკრიბონ და ფეხზე დააყენონ ათი და ასი მილიონობით გლეხები, შეძლებენ აღმოსავლეთშიც წითელ არმიის შექმნას. აღმოსავლეთის მაშვრალნი შესძლებენ შეკავშირებას, შეიარაღებას, შესძლებენ მოაწყონ ზურგში ინგლისელებს აჯანყებები, შესძლებენ გამოუყვანონ წითელი მამალი ყაჩაღ-ინგლისელებს, შესძლებენ მოუწამლონ ყოფა თავხედ-ინგლისის ოფიცრებს, რომლებიც ნებივრობენ ოსმალეთში, სპარსეთში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვაგან

ამხანაგებო! ძმებო! ახლა დადგა დრო როდესაც თქვენ შეგიძლიათ ნამდვილ ხალხურ „საღვთო ომის“ მოწყობას შეუდგეთ მცარცველების და მდევნელების წინააღმდეგ. დღეს კომუნისტური ინტერნაციონალი აღმოსავლეთის ხალხებს მიმართავს და ეუბნება: ძმებო, ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ „საღმვთო ომისკენ“ პირველ ყოვლისა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ! (ტაშის გრიალი. განუწყვეტელი „ურას“ ყვირილი. დელეგატები ზეზე დგებიან და ჰაერში შიშველ ხმალს ატრიალებენ. ორატორი დიდხანს სიტყვის გაგრძელებას ვერ ახერხებს. ყველა ფეხზე დგას და ორატორს დაუსრულებელ ტაშს უძღვნიან. ხმაურობა და ყვირილი: ფიცს ვდებთ!)

დეე, გაიგონ დღევანდელი განცხადება ლონდონში, პარიზში და ყველა იმ ქალაქებში, სადაც ჯერ კიდევ კაპიტალისტები მეუფობენ. დეე, გაიგონონ აღმოსავლეთის ათი და ასი მილიონიანი ხალხთა წარმომადგენლების საზეიმო ფიცი იმაზე, რომ აღმოსავლეთიდან გაიგდებ მჩაგვრელი ინგლისელების მეუფება, მოისპობა აღმოსავლეთის მშრომელთა კაპიტალისტების მიერ!

გაუმარჯოს აღმოსავლეთის ხალხთა ძმურ კავშირს კომუნისტურ ინტერნაციონალთან! დეე, გაცამტვერდეს კაპიტალის ბატონობა და გაუმარჯოს შრომის სამეფოს! კვლავ ტაშის ქუხილი გაისმის დარბაზში. ისევ ფეხზე დგებიან და ფიცს სდებენ ბოლომდის მიიყვანონ „საღვთო ომი“. დარბაზი დიდხანს არ წყნარდება, ზანზარებს დაუსრულებელი ტაშის ცემით და გამოძახილებით).

პირველი სხდომა ამხ. ზინოვიევის სიტყვით დათავდა.

(შემდეგ იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### საბავშვო სახლები.

**მოსკოვი** 6 სექტემბერი. მოსკოვის ბავშვთა დაცვის ქვე-განყოფილება, სახალხო კომისართა დეკრეტის თანახმად, ხსნის მოსკოვის ყველა რაიონში და მაზრის მიდამოებში საბავშვო სახლებს მე-3-მე ინტერნაციონალის სახელობაზე.

### „შრომის წითელი დაფა“

**მოსკოვი.** 6 სექტემბერი. შეერთებული ლიტერატურულ-გამომცემლობის განყოფილება, გზათა მოძრაობის მთავარ პოლიტიკურ სამართველოსთან, შეუდგა გამოცემას „შრომის წითელი დაფისა“, სადაც მოთავსებული იქნება ბიოგრაფიები იმ ამხანაგეისა, რომელთაც გამოიჩინეს განსაკუთრებული ენერგია შრომის ფრონტზე. ამხ. რკინისგზელებს და წყალზე მომუშავეთ სთხოვენ გამოგზავნონ მასალები შრომის გმირობის აღწერის ბიოგრაფები, სურათები და სხვა.

### საბჭოთა რუსეთის ცნობის პირობები.

**პეტროგრადი.** 7 სექტემბერი. „რეიტერის სააგენტოს“ ცნობით ინგლისის მთავრობა დასთანხმდება იცნოს საბჭოთა მთავრობა შემდეგი პირობებით: 1) რუსეთ პოლონეთის ფრონტზე ორივე მხარე საჩქაროთ სწყვეტს შეტევას. 2) უნდა მოხდეს სამოქალაქო და სამხედრო ტყვეთა დაუყონებლივ გაცვლა. 3) საბჭოთა რუსეთი ვალდებულია აუნაზღაუროს ინგლისის ქვეშევრდომთ ზარალი მიყენებული რევოლიუციის მიერ.

### თხოულობენ წარმოების სოციალიზაციას.

**რეველი.** სექტემბერი. რურის ოლქის ქრისტიანულ პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციამ მიიღო დადგენილება ნახშირის წარმოების სოციალიზაციის აუცილებლობის შესახებ. კერძო მოგება მოისპობა და მთელი სამთო საქმე გადაეცემა მთელ ხალხს სასარგებლოთ.

### რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება

**ლიონი.** 14 სექტემბერი. (რადიო) ვარშავიდან „მატენს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ საზავო მოლაპარაკება რიგაში დაიწყება 16 სექტემბერს. წინასწარ მოლაპარაკებიდან ირკვევა უკრაინის საკითხის მნიშვნელობა.

### სამხრეთის ფრონტზე

(სამხედრო მიმოხილვა)

ვრანგელის გაზეთები ცდილობენ არა მარტო მიაფუჩეჩონ ის შთაბეჭდილებები, რომელიც გამოიწვია ვრანგელის დესანტის დამარცხებამ ყუბანში, არამედ მათი სურვილია დაამტკიცონ, რომ ამ დესანტმა ღირსეულათ შეასრულა თავისი დანიშნულება. საქმის ნამდვილი ვითარება კი ძირეულიანათ არღვევს ვრანგელის გაზეთების მოსაზრებებს. ჩვენ საქმე გვაქვს ვრანგელის დესანტის ისეთ დამარცხებასთან, რომელმაც გავლენა უნდა იქონიოს მთელ ყირიმის ფრონტზე. თავის თავად რას წარმოადგენდა მოწინააღმდეგის სამხედრო ოპერაციები ყუბანში?

როგორც ვიცით ვრანგელის ცდას, წინ წაწეულიყო ჩრდილოეთისკენ და დასავლეთით, წინ გადაეღობა წითელ არმიის მედგარი წინააღმდეგობა, რომელმაც (წით. არმიამ) ისარგებლა აქტიური თავდაცვისათვის ისეთი ბუნებრივი სიმაგრით, როგორიც არის მდინარე დნეპრი. მარტოთ-მარტო ყირიმის ყუთში სხდომა, თუ მას რაიმე სტრატეგიული პერსპექტივები არ ექნებოდა, არ იყო ხელსაყრელი თეთრგვარდიელთა სარდლობისათვის, და ამიტომაც, როგორც ეტყობა მას გადაუწყვეტია ზამთრის დადგომამდის განახორციელოს თავისი გეგმები, როლებზედაც სწერდენ უცხოეთის გაზეთები, რომლებიც დიდათ აფასებდენ „სამხედრო გენიოსის—ვრანგელის სიფრთხილეს და წინდახეულებას“ ვრანგელის ამ გეგმაში შედიოდა ის, რომ მისი სურვილი იყო გაეფართოებია ფრონტი — ალექსანდროვსკიდან ჩრდილოეთ კავკასიამდის, ამ სამოქალაქო ომის ფარგლებში უნდა ჩაეთრია დონის, ყუბანის და თერგის ოლქები და თავისკენ შემოეფარგლა და გაემაგრებია სამხრეთ რუსეთის ყველასდ უფრო ნაყოფიერი და წარმოების მხრივ მდიდარი ადგილები. ვრანგელის, ჩრდილოეთისაკენ შემდეგ შეტევაზე დ დ გავლენას იქონიებდა დონი და ყუბანი იმით, რომ გაამაგრებდა ვრანგელის არმიის მარჯვენა ფრთას. მიუხედავათ ამისა ბარონ ვრანგელის „სიფრთხილემ“, „სამხედრო გენიოსობამ“ და ყირიმის ემისრების დაგზავნამ ყუბანში და ჩრდილოეთ კავკასიაში ვერ უშველა ყირიმის სარდლობას სწორათ შეეფასებიათ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ყაზახობის და მთიულების მოსალოდნელი აჯანყება ცარიელ ხმათ დარჩა. სადესანტო სამხედრო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო მცხოვრებლების აჯანყება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, დამარცხებით გათავდა. რაც არ უნდა ამტკიცონ მოხალისეთა გაზეთებმა, რომ ულაგაის არმიის დანიშნულება ყუბანში მხოლოდ დემონსტრატიული იყოვო, ჩვენთვის მაინც ცხადია ის, რომ ულაგაის აქ დიდი მიზნები ქონდა დასახული და არა მარტო კერძო ხასიათის.

მხოლოდ დონის და ყუბანის დაკავებას შეეძლო გადაერჩინა ვრანგელი დაღუპვისაგან. დესანტის დამარცხების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ—პოლიტიკურ და სტრატეგიის მხრივ. იმ მასას, რომელმაც თავზარდაცემული დასტოვა ყუბანის ნაპირები და გაიქცა ყირიმში, ხელმეორეთ ველარ წამოიყვანთ ყუბანში საბრძოლველათ. მით უმეტეს ამ მასსას ვერ გამოიყენებს ვრანგელი სხვა ფრონტებისათვის, რადგან ვრანგელის მოქმედების აქტივობას ხელს უწყობს ის, რომ ყაზახები მიისწრაფვის თავის სოფლებისაკენ. ეხლა ყირიმის ავანტიურისტებმა, რომლებსაც ესიზმრებათ აჯანყებული დონი, უნდა დაუსვან ყაზახობას ჯვარი. ყაზახობას, როგორც მასსას, არ სურს მხარი დაუჭიროს ერთი მუჭა ბარონის „ლანდ სკნეხტებს“. დესანტის დამარცხების გამო ვრანგელის არმიის მარჯვენა ფლანგს აღარ შეუძლია მოსცილდეს ზღვას. წინანდებურათ ვრანგელს დარჩენია მხოლოდ ერთი, რომ დაიცვას უმნიშვნელო რაიონი, რომელიც ყირიმის წინა კარებია. მთელ ყირიმის ფრონტზე ინიციატივა თანდათან ჩვენ ხელში გადმოდის. განსაკუთრებით ყურადსაღებია უკანასკნელი ჩვენი გამარჯვებები ორეხოვოსთან, რომელიც მტრის დავდაცვის ხაზის გარღვევის დასაწყისია, რომელის კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს მთელს ყირიმის არმიას. ფრონტი და მოწინააღმდეგის ძალები დარბეულია, ამის ნათელი დამამტკიცებელი ის არის, რომ კახოვის ტეტ დეპონი, რომელსაც ჩვენი შეტევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წითლების ხელშია.

როდესაც უკანასკნელ სამხედრო ცნობებს ვსინჯავთ, და აგრეთვე ვრანგელის ოფიციალურ დეპეშებსაც, შეიძლება იმ დასკვნამდის მივიდეთ, რომ ეხლა ყირიმის სარდლობის საფიქრებელი არის არა აქტიური მოქმედება, არამედ ჩრდილოეთის ფრონტის რაიონის უზრუნველყოფა შემდეგ მოსალოდნელ გარღვევისაგან და მისი სამხრეთისაკენ უკან დახეულ ნაწილების ფლანგებიდან შემოვლის ხიფრთხის თავიდან ასაცილებლათ.

# უკანასკნელი ცნობები

14 სექტემბერი.

**ოპერატიული რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის“ საველე შტაბისა.**

### პოლონეთის ფრონტი.

კორბინის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება.

კოველის რაიონში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის რაზმებთან ბრძოლას განაგრძობენ. ეს ბრძოლა სწარმოებს ბრესტ ლიტოვსკის შარაგზის რაიონში. ვლადიმირ-ვოლინის რაიონში ჩვენი ჯარები მდ. ლუგის ხაზზე აწარმოებენ ბრძოლებს.

როგატინის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებით კვლავ ხელმეორეთ შევიდენ ქ. როგატინში და დაიკავეს იგი. დაატყვევეს 250 მდე მოწინააღმდეგე ჯარის კაცი, ხელთ იგდეს 1 ზარბაზანი, 7 ტყვიის მფრქვეველი და 200 ცინტოვკა.

### ყირიმის ფრონტზე.

ვერხნე-თოქმაქის რაიონში ორი ჯავშნიანი მატარებლით ზურგ გამაგრებული მტრის საკმაოთ ძლიერი ლაშქრის შემოტევა უკუვაქციეთ.

რესპუბლიკის საველე შტაბის ვოენკომის მაგიერ **ვასილიევი.**

### სალამი ლენინს.

**მოსკოვი,** 15 სექტემბერი (რადიო). თურქესტანის ჩეხო-სლოვაკების კომუნისტების პირველმა კონგრესმა მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლს შემდეგი სიტყვებით სალამი მიუძღვნა: სალამი კომუნიზმისათვის დიდ მებრძოლს ამხ. ლენინს.

### რუსეთის პროლეტარიატისაგან ალტაცება.

**ნაუენი,** 10 სექტ. (რადიო მოსკოვიდან) პარიჟში გაიხსნა მეუმცირესე მეტალისტების პროფესიონალური კავშირის კონგრესი. კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი ულრმეს აღტაცებას გამოხატავს რუსეთის პროლეტარიატის წინაშე და ადგენს ახლავე მიემხროს საერთაშორისო წითელ გამაერთიანებელ ორგანიზაციას და უყუროს იმ დროს, როცა შრომის მთელი კონფედერაცია გადაწყვეტს მასთან შეერთებას.

# მკითხველთა წერილები

### „ნაციათა ლიგის“ მისიის ჩამოსვლის გამო.

როგორც ვიცით, მეორე ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესმა ამ უილაჯო ბებრუხანების კრებამ, რომელმაც და აგვირგვინა და თვითდაურწმუნო თომებისათვის ცხადად ჰყო ყვითელ ინტერნაციონალის სრული გახრწნა, აი ამ კონგრესმა, რომელმაც თავის დამსწრის პირით წარმოსთქვა თავისი სასიკვდილო განაჩენი, მოიკრიბა მითხელებული მწკრივები, მობილიზაცია გაუკეთა თავის სულმიხდილ ენერგიას და გაბედულობას, რათა გადადგას უკანასკნელი, ლოღიკური, მაგრამ მისი საბოლოოთ დამასამარებელი ნაბიჯი: მან გამოუცხადა სამკვდრო-სასიცოცხლო, დაუზოგველი ომი ბოლშევიზმს, მესამე კომუნ. ინტერნაციონალს და მათ სახით—სოციალურ რევოლიუციას. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვეჭვობთ ამ ნაბიჯის რეალურ შინაარს — შედეგში, ვიცით რომ ეს გადაწყვეტილება დარჩება ქაღალდზე, ხმათ მღაღადებელთა უდაბნოსა შინა, როგორც გაცრუვდა მისი უფრო რადიკალური, რევოლიუციონურ დადგენილება და ფიცი, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც 2 ინტერნაციონალს ქონდა ფართო და ძლიერი გავლენა და როცა მას არ გასცილებოდა მებრძოლი სული. ამდენხანს 2 ინტერნ. დიპლომატებს ვერ გაებედნათ რევოლიუციისადმი აშკარა გაკიცხვის გამოტანა, თუმცა ისინი ნათლად ხედავდნენ თავის ყოველწუთს დაუძლურებას და შეუჩერებლივ დაქანებას პირდაღებულ უფსკრულისაკენ, და 3 ინტერ. საოცარი ზრდა დარაზმვას. მაგრამ ეხლა, როდესაც მათ დასაკარგავი არაფერი აქვთ, რადგან ყოველივე რაც ებადათ, გავლენა, სოციალისტური პატიოსნება, რევოლიუც. ბრძოლის სურვილი, თავიდგან მოიცილეს, გასაკვირი არაფერია, რომ ისინი უკანასკნელ „სტავკის“ გათამაშებას ეპირებიან „სტავკა ვაბანკ“. ღირს აღსანიშნავი ის არის მე-2 ინტერნაცონ. უკანასკნელი ამონაკვნესი, მისი საბოლოო გედის სიმღერა. მისი ანდერძი. ეს არის რევოლიუციასთან ბრძოლა. ამით ისინი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამენ მათ კონტრ-რევოლიუციონურ როლს დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რასაც ჩვენ დიდიხანია ვამტკიცებდით და ვააშკარავებდით.

აი ეხლა ამ ინტერნაციონალის გარიყულნი, ევროპის მუშების მიერ უკუგდებულნი მეთაურები ჩვენს ქვეყანას ესტუმრა „სოციალისტურ დელეგაციის“ სახელით. როგორია ამ ფაქტის ობიექტიური მნიშვნელობა, რა საფუძველი, რა სარჩული უძევს მას? ეს არის პირველი ცდა პრაქტიკული ნაბიჯი ცხოვრებაში გატარების ჟენევაში მიღებულ დადგენილებისა: ბოლშევიზმთან შეურიგებელი ბრძოლა. ბევრს ეს შეიძლება პარადოკსათ ეჩვენოს, მაგრამ ეს მაინც ფაქტია.

ყველასათვის უტყუარია, რომ ობიექტიური როლი, დანიშნულება და შინაარსი არსებობისა რუსეთის პერიფერიებში შექმნილ წვრილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებისა,—ეს არის ბუფერის, შემჩერებელის შექმნა რუსეთის რევოლიუციისათვის, რომელიც მიილტვის გაარღვიოს ნაციონალური ფარგლები, შედუღდეს, შეუერთდეს მსოფლიო მუშათა მოძრაობას, გადაიქცეს საერთაშორისო რევოლიუციათ, რადგან მხოლოდ ამაშია მისი ხსნაც და დანიშნულებაც. აი ამ კანონიერ და ისტორიულ საარსებო პირობებით გამოწვეულ ლტოლვა-ტენდენციას ებრძვის იმპერიალიზმი, ცდილობს აღმართონ ჩინეთის კედელი რუსეთის და დასავლეთ-აღმოსავლეთის მშრომელთა შორის, რომ მოზღვავებულმა რევოლიუციონურმა ტალღამ არ გადმოხეთქოს, რომ რკინის სალტესავით შემოარტყას წვრილ სახელმწიფოთა სანიტარული კორდონი, რომელშიაც ვერ გაძვრება რევოლიუციონური ბაცილა, — აი ამიტომ აღმოცენდენ ანტანტის მიერ ნანა ნამღერები სახელმწიფო ბუფერები, ამიტომ მათ ჯერ გერმანიის კოალიცია და მერმე ანტანტა თვალის ბეწვივით უფრთხის და თავს დასტრიალებს. მათი როლი ობიექტიურად ღრმათ რეაქციონურია, მათი დანიშნულებაა უდარაჯონ კაპიტალიზმის იმპერიალიზმის წესწყობილებას, უზრუნველყონ რევოლიუციის შემოტევისაგან და ხანდისხან მას პირიქით შეესიონ. ასეთივე როლს აკუთნებენ საქართველოსაც დ მისი მნიშვნელობა ამ საქმეში კარგათ დააფასა ანტანტის მეყასპეებმა, ისინი ქება-დიდებას ასხამენ საქართველოს კერძო საკუთრებისადმი მოწიწებას, მისი მტკიცე საგარეო პოლიტიკას (ორიენტაცია დასავლეთის იმპერიალისტებზე) და მოითხოვენ მისთვის შეიარაღებულ დახმარებას (გაიხსენეთ გასკელი ინტერვიუ ამერიკის ჟურნალისტთან).

საქართველოს ამ რეაქციონურ პოზიციაზე გამაგრება მისი პოლიტიკის დაკანონება სოციალისტური სახელით და ავტორიტეტის ბეჭდის ზედ დასმით (ასეთი იქნება უეჭველია დელეგაციის „გაცნობის“ შედეგი)—ეს ნიშნავს ანტანტის კონტრ-რევოლიუციის წისქვილზე წყალის დასხმას, ხელს შეუწყობს, განმტკიცებას, ხოლო რევოლიუციის ბორბლების მსვლელობისათვის ზედმეტ ჩხირების ჩაგდებას. სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი და შედეგი—ეს ანტანტის მისიების მიერ დაწყებულ საქმის გაგრძელება დაგვირგვინებაა. საქართველოს საბოლოოთ „ევროპის ოჯახში“ ე. ი. ანტანტის კოალიციაში, რევოლიუციის საწინააღმდეგო ლიგაში შეყვანაა.

**სავანოროლა.**

(დასასრული იქნება).

# საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის ფურცელი № 5

## ყველა ამხანაგებს!

ამხანაგებო! კომუნ. ახალგაზრდობის ფურცელი ეს თქვენი ორგანოა, რომელმაც თქვენი სურვილი, ლტოლვა გამოხატეს, და ეს ის ზარია, რომლის დაუცხრომელი ყიჟინა უნდა გიხმობდეთ თქვენ წინ. დიდება გამარჯვებისაკენ, რომლის ყოველივე სიტყვა, და სტრიქონი თქვენი სისხლით და ცრემლით უნდა იყვეს ჩაქსოვილი, რომლის ყველა მოწოდება და მამართვა მძლავრ გამოხმაურებას უნდა პოვებდეს თქვენში, ამოკვეთოს თქვენ გულში სიხარულის ან აღშფოთების ხმა. კომუნისტური ორგანო მაშინ იცოცხლებს, გაძლიერდება და მაშინ აქვს მას ფასი და მნიშვნელობა, როდესაც ის მასიური კოლექტიური შემოქმედება აზროვნების ქმნილებაა, როცა ის ნაყოფია ძმურ შეხმატკბილებულ მუშაობის. „კომ. ახალ. ფურცელი“ ეს ახლათ დაბადებული, ნორჩი ხერხემალ სუსტი ბავშვია, მას ესაჭიროება ნაზი ძიძა, ფრთხილი მოპყრობა, საზრდო, დახმარება. ამხანაგებო, შეიყვარეთ თქვენი ლვიძლი შვილი, უპატრონეთ მას, ფრთხილათ და ერთგულათ დაიცვით ის მტრის შებღვერა-შემოტევისაგან, ასაზრდოეთ, აღზარდეთ ეს ჯერ კიდევ ნორჩი, მოტიტინე ბავში. მიიღეთ მხურვალე მონაწილეობა მის ბედ-იღბალში. გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ უთქვენო აქტიურ დახმარება, ხელშეწყობისა, გამუდმებული ერთგულ დარაჯობისა ის, სისხლ ნაკლული და უფერული, ახალგაზრდობისას თვითონვე სამარეში ჩასვენდება, ან და შეიქნება მსხვერპლი მტრის მოგუდვის და დაცემისა. მაშ, მიაწოდეთ თქვენს ორგანოს ყოველგვარ მასაზრდოებელი საგანი, წერილები, სტატიები, კორესპონდენციები. გაავრცელეთ ის და თვალყური ადევნეთ რომ მას მურტლათ არ შეეხოს მტრის ტლანქი ხელი.

საქ. კომ. ახალ. ფურცლის **სარედაქციო კოლეგია.**

## ჩვენი პრესა

ჩვენი პრესის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს, რომ ჩვენმა კავშირმა თავი დააღწიოს ვიწრო კუთხურ ხასიათს, ბოლო მოუღოს მოწყვეტას და ჩამორჩენილობას ახალგაზდობის საერთაშორისო მოძრაობისაგან, ჩაითრიოს, ჩააბას საერთაშორისო რევოლიუციონურ დუღილში; მჭიდრო იდეიური, სულიერი კავშირი გააბას ჩვენს ორგანიზაციას და დასავლეთის ევროპის ბარიკადებზე სისხლმღვრელ, გამარჯვებულ რუსეთში სამოქალაქო ომისა და სამეურნეო ფრონტების მოწინავე ხაზებზე მებრძოლ, აღმოსავლეთის გამოღვიძებულ, საომრად გამზადებულ ახალგაზრდობის შორის. ჩვენ აქამდე სრულიად მოკლებული ვიყავით საშუალებას, გაგვეცნო რუსეთის და ევროპის ახალგაზრდული მოძრაობა, ეს იმ დროს, როდესაც ბრძოლა საერთაშორისოთ დარაზმულ იმპერიალიზმთან უნდა ვაწარმოვოთ საერთაშორისო მაშტაბში, როდესაც საჭიროა ყველა მებრძოლს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს მთელი ფრონტის სურათზე, როდესაც საჭიროა ძალთა კოორდინაცია მოქმედების და დარტყმის შეფარდება. ასეთ გაცნობას ის ფსიხოლოგიური დადებითი მხარე აქვს, რომ ძალას მატებს, იმედს უღვიძებს, დამარცხებულთ და შემდრკალთ ამხნევებს, აძლიერებს რევოლიუციონურ დაჩემება მეტოქეობას და ბოლოს საშუალებას აძლევს ერთმანეთის გაკვეთილების გამოცდილებით ისარგებლონ, გადმოიტანონ, გამოიყენონ რაც ერთის პრაქტიკამ სავარგისათ ცხადჰყო.

ასე გაკეთებული, მაღწეული ურთიერთ გაცვლა-გამოცვლა, გაზიარება უფრო აადვილებს მუშაობას, მსხვერპლის, სახსრის და დროის დიდ ეკონომიას იძლევა. თუ მაგალითად ჩვენ პევრ საკითხში ბნელში ფორთხით, ნელა ვიკაფავდით გზას ამ საკითხებზე, რუსეთის და ევროპის რევოლიუც. ორგანიზაციულმა პრაქტიკამ გასცა ნათელი და სწორი პასუხი. აი ამ მდიდარ გამოცდილების გადმოღება, სულიერათ დაახლოვება გადაჯაჭვა-შედუღება ჩვენი კავშირის კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ მებრძოლ რაზმებთან, ეს პირველი მიზანია ჩვენი პრესისა.

მეორე მხრივ ჩვენი პრესა უნდა იყოს ნამდვილი სარკე ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრებისა: იმისი მაჯის ცემა, ჩქეფა-დუღილი მასში უნდა გამოსჭვივოდეს, ყოველი საკითხი, ყოველი დარგი ჩვენი შინაური წესწყობილებისა უნდა გაშუქდეს, გახდეს მსჯელობის საგნათ. მან ე. ი. პრესამ, ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი, ტენდენცია, მიმდინარეობა მგძნობიარე ბარომეტრივით უნდა აღნიშნოს, არაფერი არ უნდა გამოეპაროს მის შორს მჭვრეტ და ფხიზელ თვალს. აი მაშინ მოძრაობაში და მუშაობაში წარმოშვებულ კითხვებს დროიანი და მოსწრებული გაშუქება-განმარტებას მივსცემთ, არაფერი მიმდინარეობა ჩვენ ცხოვრებაში მოულოდნელი არ იქნება და საპასუხგებლო ორგანოებიც თავის დანიშნულებს ნათლად და ბოლომდე შეასრულებენ. აი ამ პირობის ასრულება სრულიათ ამხანაგებზეა დამოკიდებული. მხოლოთ ამხანაგების აქტიურ დახმარებით გახდება ორგანო ნამდვილი გამომხატველი შინაური მდგომარეობისა, რომელშიაც ამოძახილს ჰპოვებს ყოველი მოძრაობა და ტკივილი. ეს კი შეიძლება მაშინ, როდესაც ყოველი ორგანიზაცია, ყოველი წევრი ჩვენი ფურცლის არსებობის საქმეს თავის საკუთარ საქმეთ გადაიქცევს, დაისახავს მიზნათ თვითონაც შეიტანოს წვლილი, თუმცა პატარა. ყველამ უნდა სწეროს წერილები, ფელეტონები, კორესპონდენციები კავშირის ზრდა განვითარების, შეცდომების, საჭიროების გლეხების და მუშების მდგომარეობის და სულის კვეთებაზე და სხვა.

რასაკვირველია ეს ინფორმაცია უნდა იქმნას მოკლეთ მკაფიოთ დაწერილი, უმთავრესათ კი მიუდგომლათ, ობიექტიურათ, რადგან ჩვენში ღრმათ გამჯდარმა თავის მოტყუებამ, მომხდარის გაბერვამ, მისტიფიკაციამ შეიძლება ითამაშოს კიდევ დამღუპველი როლი. ეხლა დროა ეს ზნე ჩვეულება უკუვაქციოთ, მხოლოთ შიშველი ჭეშმარიტება, ფხიზელი აღნუსხვა და ანალიზი—ეს უსათუოდ აუცილებელი პირობაა სადაც ორგანიზაციებს აქვს განვლილი პოლიტიკური და თეორეტიული შკოლა, იქ საჭიროა და შესაძლებელია მოეწყოს ეგრეთ წოდებული გაზეთის წრეები. მათი დანიშნულება და შემადგენლობა ასეთია. ამ წრეებში წაიკითხავენ ჩვენ ორგანოს, გაირჩევა წერილები, შეაგროვებენ მასალებს და შემდეგ მას წრის კრებაზე გაარჩევენ, შეასწორებენ შეცდომებს. უფრო საჭიროა, რომ ამ წრეებში იწერებოდეს დღიურ საჭირბოროტო საკითხებზე სტატიები და სხვა...

საერთო დამუშავება, შესწორება მასალების, წერილების დიდი ნაბიჯია წინ. ავტორის ინდივიდუალური თვით თავმოყვარეობა, მორცხვობა თანდათან იფხიკება, შალაშინდება და გზა ეხსნება საერთო კოლექტიურ მოღვაწეობა-შემოქმედებას.

დღევანდელ ცვალებად, მოჩუხჩუხე ცხოვრების გამოსახატავათ საჭიროა ყოველ დღიური გაზეთი და აი ჩვენ ვცადეთ ყოველდღიურ ორგანოს ფურცლებზე გამოსვლა. ეს ნაბიჯი პირველათ გადადგა მოსკოვის გაზეთ „კომუნარის“ გვერდებზე ჩვენმა ნიჭიერმა ამხ. დუნაევსკიმ. პარტიის ორგანოს მეოთხე გვერდზე ჩვენი ფურცლს ბეჭდავს, რომელიც რუსეთში ასე გავრცელებულია, აქვს ბევრი უპირატესობა. პარტიის გავლენის, ავტორიტეტის ქვეშ, ჩვენი კავშირის იდეებიც ფართოვდება და ახალგაზრდა რედაქტორებისათვის უფრო ადვილია ხელმძღვანელობა პატარა ფურცელისა, ვიდრე დამოუკიდებელ ორგანოსა და ამ პატარა მუშაობაში ის თანდათან იწრთვნება, ეჩვევა. მეორე მხრივ ჩვენი საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, ჩვენი დანიშნულება და მუშაობა წმინდა პროპაგანდისტულია, იდეების და საორგანიზაციო პრინციპების გავრცელება-გაფართოვებაა. ეს კი მოითხოვს საბუთიან, საკითხის ამომწურავ, წერილებს, რის წარმოებაც პატარა ფურცელზე სრულიათ შეუძლებელია.

მაშასადამე ჩვენი ამოცანაა ელვის სისწრაფით მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას თვალყური ვადევნოთ, გამოვეხმაუროთ მას და შინაური ორგანიზაციული საკითხები და საჭიროებანი გავაშუქოთ და იმავე დროს ვაწარმოვოთ აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა.

## საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყრილობა

25 აგვისტოს დღის 4 ნახ. საათზე „რუსთველის“ შენობაში რევოლიუციონურად მორთულ დარბაზში გაიხსნა მუშათა და გლ. ახალ. კომ. კავ. პირველი ყრილობა.

ყრილობას ხსნის დრ. ცენტრალურ კომიტეტის სახელით ამხ. ბორის ძნელაძე. ამხ., ამბობს ის, მე ეხლა არ შეუდგები დაწვრილებით ყრილობის მნიშვნელობის დახასიათებას, მხოლოთ გაკვრით ვიტყვი, რომ დიადი, საპასუხისმგებლო და ღრმა არის მისი მუშაობის ღირსება და მნიშვნელობა, მან უნდა თავი მოუყაროს რაც ჩვენ გაგვიკეთებია ამ ხნის განმავლობაში, სამუდამოთ განამტკიცოს ჩვენი ორგანიზაციის ბედიღბალი და ნორმალური მსვლელობა, განვითარება; დაგიხატოს სწორი და ნათელი გეგმა კავშირის მომავალ მუშაობისა. მძიმე, ტანჯვით და ნარეკლით მოფენილი იყო ჩვენი გზა, გზა რევოლიუციონურ ორგანიზაციის საარსებო ბრძოლისა. ბევრი საუკეთესო, მამაცი, თავგანწირული და ახალგაზრდური აღტაცებით აღვსილი ამხანაგები გამოგვგლიჯეს ჩვენ მწყობრ რიგებს, ბევრი დაეცა ამ ბრძოლის და პატიოსნების ველზე, რომ თავის სხეულით გზა გაუკაფოს მათ მომყოლ მებრძოლთა რაზმებს, უხვათ მორწყონ თავის სისხლით ის ყანა, რომელზედაც უნდა გაიფურჩქნოს მომავალ ბედნიერების და სიყვარულის მშვენიერი ჯეჯილი. ჩვენ ვიბრძოდით კომუნისტურ პარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებული, მასთან ერთად ვიზიარებდით მის დალხინება-დამარცხებას, მუდმივ გვერდში ვუდექით და აწი მომავალშიც ჩვენ ერთგული დავრჩებით ამ სისხლით და საერთო ბრძოლით განმტკიცებულ ხელუხლებელ კავშირს. ეხლა კი მოგიწოდებ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ იმ ძვირფას მებაირახტრეთ, რომელნიც სხეულით ჩვენ გაგვცილდენ, მაგრამ მათი სული ჩვენში სცოცხლობს, მომავლისკენ გზას გვინათებს და ბრძოლის დროს გვამხნევებს, გვაღფრთოვანებს. საუკუნო ხსენება მსხვერპლათ დაცემულ დაუვიწყარ ძმებს. (ყველა ფეხზე დგება, ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს) ნება მომეცით პირველი ლეგალური ყრილობა საქ. კომუნისტური კავშირისა გახსნილათ გამოვაცხადო, წინადადებას გაძლევთ აირჩიოთ ყრილობის პრეზიდიუმი.

დრ. ცენტრ. კომიტეტის სახელით წინადადება შემოდის პრეზიდიუმი იქმნას არჩეული შვიდი კაციდან. წინადადება იქნა მიღებული და პრეზიდიუმის 7 წევრი იკავებენ თავიანთ ადგილს.

პირველ მისალმებითი სიტყვას დრ. ც. კ. სახელით ამბობს ამხ. ბორის ძნელაძე, რომელიც მოუწოდებს დელეგატებს მეტ სიდინჯეს, გამჭრიახობისაკენ და უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას, თავის ამოცანების ბოლომდე მიღწევას.

სიტყვა ეძლევა მისასალმებლად საქ. კომ. პარტიის ცენტ. წარმ. კომ. ამხ. მარუსიას.

ამხანაგებო! პროლეტარულო ახალგაზრდობავ!—დაიწყო მან—საქ. კომ. პარტ. ცენტრალური კ—ტი მოგიძღვნისთ კომუნისტურ სალამს—მე-3-ე ინტერნაციონალის ახალგაზრდათა წევრთ და გისურვებთ ხელი-ხელ ჩაკიდებული გვლოთ იმ პარტიასთან, რომელიც იბრძვის მშრომელი კაცობრიობის საბედნიეროთ და საკეთილდღეოთ. თუ კი დღემდე ვინმეს ეჭვი შეჰქონდა, ეხლა უკვე ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ ქვეყანა გაპობილია ორ მებრძოლ შეურიგებელ ბანაკათ: ერთის მხრით წმინდა რევოლიუციონური მშრომელნი და გაყვლეფილნი და მეორე მხრით შავი ყორნები—მყვლეფელნი და მათი დამქაშნი.

კომუნიზმის შინაარსია ძველი დამპალი კაპიტალისტური ქვეყნის დამხობა და ახალ მშვენიერ შრომის სამეფოს აშენება. ამ საპასუხისმგებლო მომენტში როლი ახალგარდობისა, როგორც მებრძოლი მუშათა კლასის ნაწილ ისა უდიდესი და ფრიად მნიშვნელოვანია

ამ მიზნისთვის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ შეიარაღდეთ ცოდნით, შეიჭრათ სოფელში, გააღვიოთ ბრძოლის სული და ნება გამარჯვებისაკენ, შეისწავლოთ საკუთარი პროლეტარული კულტურა, ცოდნა და სურვილი მისი ფართე მასსებში გავრცელებისა—აი საძირკველი ჩვენი ორგანიზაციისა.

ძველის დანგრევასთან, რომელიც შედარებით ადვილია, უნდა ვაშენოთ ახალი ცხოვრება, მაგრამ ეს საქმე ძალიან მძიმეა და მთელი თავისი სიმძიმით და სისასტიკით ის დააწვება მშრომელ ახალგაზრდობას და თქვენ უნდა აღიჭურვოთ ორგანიზატორული ნიჭით, გამოცდილებით და ცოდნით, და მაშინ დამშვიდებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალი საიმედო ხელშია.

ეხლა ჩვენ ვიმყოფებით პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, რომელიც მდიდარია მსხვერპლით, შეცდომებით, მაგრამ ნუ იქნებით მეშჩანები და მსხვერპლი და წაფორხილება ნუ შეგაშინებთ.

დიქტატურის ხანა არის მამათა საქმე, თქვენ კი უნდა დაამთავროთ მათი საქმე. პროლეტარულმა ახალგაზრდობამ შეიგნო თავისი დანიშნულება და ამოკანები და ის დადგა კომუნიზმის დროშის ქვეშ. იმ ყრილობამ, რომელიც მოხდა მოსკოვში შექმნა პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა უთვალავ ჯარს, მებრძოლთა ახალი რაზმი. ვათავებ რა, ვუსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. (ორკ. ასრულ. ინტერნაც.)

თავმჯდომარე აქვეყნებს ამხ. მიხა ცხაკაიასაგან მიღებულ დეპეშას:

„თბილისი, კომუნ. ახალგ. ცენტ. კომიტეტს. გადაეცით ჩემი მხურვალე სალამი ახალგაზრდა ამხანაგებს, ახალი ქვეყნის ჭაბუკ შემქმნელთ. რევოლიუციის ქარტეხილში დაბადებულნი, თქვენ განაგრძნობთ კომუნისტური იდეალების გასამარჯვებლად სასახელო ბრძოლის საქმეს. მე ღრმათ მწამს, რომ პროლეტარული ახალგაზრდობა იქნება პირველ რიგებში საქართველოს პროლეტარიატის უკანასკნელ გადამჭრელ ბრძოლაში მუშათა კლასის გამცემლების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობას, გაუმარჯოს მის ყრილობას!

**მიხა ცხაკაია.**

ტაშის ცემა (ორკ. ასრ. ინტერნ.)

ყრილობა ავალებს პრეზიდიუმს გაგზავნოს საპასუხო დეპეშა.

(დასასრული იქნება)

## ახ. კომუნისტური მოძრაობა საზღვარ-გარეთ.

**ბულგარეთში.**

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რასკოლს 1903 წ. თან მოყვა უთანხმოება არსებულ სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანიზაციებში. ამიტომ ჯერ კიდევ ომამდის სოციალ. პარტიის ჯგუფებთან ახალგაზრდობის საკუთარი ორგანიზაციაც ამ პარტიის 3 ინტერნ. შეერთების შემდეგ ახალგაზრდობის ჯგუფები იზრდებიან ისეთ სისწრაფით, როგორც პარტია. წევრებთა გადიდების გამო ჯგუფებს უკვე არ შეეძლოთ ეარსებინათ როგორც პარტიის სექციები და ისინი გაერთიანდენ საკუთარ ორგანიზაციაში: „ბულგარეთის კავშირი კომუნ. ახალგაზრდობისა“.

ორგანიზაციაში ძლიერ ბევრია სტუდენტები და გიმნაზისტები, მაგრამ ისინი უმთავრესად გამოსული არიან მუშათა და გლეხთა წრიდან, ამის გარდა, ისინი თავის სამეცნიერო მეცადინეობის გარეშე, მუშაობენ ფიზიკურ შრომით, როგორც ხელოსნები და სამრეწველო მუშები თავისთავის დასარჩენათ. ეს მდგომარეობა სრულიათ ცვლის საკითხს სტუდენტების როლზე პროლეტარულ ახალგაზრდობის ორგანიზაციებში სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის შედარებით დასავლეთ ევროპასთან. კავშირი უშვებს სოფიაში, სადაც იმყოფება მისი ბიურო, თავის ორგანოს „ახალგაზრდობის უფლება“ ორჯერ თვეში. გარდა განათლების და პროპაგანდისტულ ხასიათის პოლიტიკურ მუშაობისა კავშირი აწყობს ექსკურსიებს, არტისტულ დაწესებულებებს და სხვ. ამგვარი. ჯგუფები სულ 60, წევრთა რიცხვი დაახლოვებით 5000. ახალგაზრდობის ორგანოს გარდა 1 სექტემბ. 1919 წ. გამოდის საბავშვო ჟურნალი „პატარა ამხანაგი“.

**პოლონელ პანების სამფლობელოში.**

პოლონეთში არსებობს ებრაელ. მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი „ცუკუმფტ“ (მომავალი). ორგანიზაციულათ ის დაკავშირებულია „ბუნდთან“ (მუშათა ს. დ. პარტია), მაგრამ სავსებით დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. კავშირის ორგანიზაციები არსებობენ ვარშავაში, ლოძში, ლიუბლინში და პოლონეთის სხვა სამრეწველო ქალაქებში. კავშირი სდგას 3 ინტერნ. პლატფორმაზე. სულის კვეთება სრულიათ კომუნისტურია. ეხლახან მუშაობს ნახევრათ ლეგალურათ. (ცნობა ივლისისა) კავშირის ცენტრ. კომ. სცემდა თავის ორგანოს „იუგენდშტიმე“ (ახალგაზრდობის ხმა) სახელით.

ეს ორგანო დახურა პოლონეთის თეთრმა მთავრობამ მისი შეურიგებელ რევოლიუციონურ მიმართულებისთვის. „ახალგაზრდობის ხმა“ იბეჭდებოდა 5000 ცალი. კავშირის მომუშავენი ყველაზე უფრო დაუღალავი პროპაგანდისტებია კომუნიზმის იდეების პოლონეთში.

## ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს.

1) რადგან კომუნ. ორგანო მხოლოთ მაშინ იარსებებს, როდესაც მას და მუშათა და გლეხთა შორის არის გაბმული მჭიდრო ხელუხლელი ზნეობრივ, იდეური კავშირი, როდესაც ის გააშუქებს და დაასურათებს მათ ცხოვრების ყველა დარგს, ყველა მათ მისწრაფება და ჭირვარამს და მასსა აქტიურათ დაეხმარება მას: ამიტომ ცენტრ. კომ. მოგიწოდებთ თქვენ.

I.

1) ყველა საგუბ. სამაზრო, ქალაქის და რაიონულ კომ. იყოლიოს ერთი ან ორი პასუხმგებელი კორესპოდენტები.

2) სოფლის ცალკე იაჩეიკებიც ვალდებული არიან იყოლიონ ასეთი პირნი.

3) საგუბ. სამაზრო და სხვა კომიტეტები ირჩევენ თავის წრიდან ან ნიშნავენ კავშირის რომელიმე წევრს, შედარებით მომზადებულ, გამოცდილ და ენერგიულ ამგანავს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სოფლის იაჩეიკები და სხვა წვრილი ორგანიზაციები პასუხმგებელ კორესპ. ირჩევენ საერთო კრებაზე.

II.

4) მათ უნდა მიაწოდონ ჩვენს ორგანოს ცნობები და მასალები კავშირის და ადგილობრივ მუშა-გლეხების ცხოვრებიდან: კავშირის რაიმე მნიშვნელოვანი დადგენილება, ნაბიჯი, სხდომების ოქმები, არა ჩვეულებრივი მომენტი (საპროტესტო რეზოლიუცია, მისალმებით დეპეშა) მიტინგი, ახალი მიმდინარეობა კავშირის აზროვნება მოქმედებაში, მუშათა კლასის და გლეხობის ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაში რაიმე ცვლილება, მათი სულიერი განწყობილება და სხვადასხვა.

5) ინფორმაცია და მოხსენება უნდა იყოს შედგენილი მოკლეთ, მკაფიოთ, უნდა აღინიშნოს მხოლოთ მშრალი ფაქტიური მდგომარეობა და ცნობა; ზედმეტი მსჯელობა და გვერდზე მიხვევ-მოხვევა და სხვა ლირიკული მომენტები სრულიათ უნდა იქმნეს უკუგდებული. ცნობა უნდა იქმნეს, უსათუოდ, სწორი, უტყუარი, საკითხი ობიექტიური და მიუდგომლათ გაშუქებული, რაზედაც სრული პასუხისმგებლობა აწვება მთელ ორგანიზაციას.

III.

6) პასუხმგებელ კორესპონდენტების არჩევა-დანიშვნა უნდა მოხდეს 3 დღის განმავლობაში, დღიდან ამ განკარგულების მიღებისა.

7) კორესპონდენტის არჩევა დანიშვნა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტს.

**დრ. რედაქტორი:**
**დიმიტრი ჟორჟენაძე.**